ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N10
CPV - 71300000 - საინჟინრო მომსახურებები
CPV - 71319000 - საექსპერტო მომსახურება

ქ. თბილისი **17 იანვარი 2019 წელი**

ერთი მხრივ, **ა(ა)იპ მუზეუმების გაერთიანება** (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის - **ნინო სანადირაძის** სახით და მეორე მხრივ, **შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი"** (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის იოვანე სიხარულიძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი
1.1 ხელშეკრულების საგანია ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში გალაკტიონ ტაბიძის მემორიალური ბინა - მუზეუმის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შეფასება/ინსპექტირების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები
2.1.ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: **2000,00 (ორი ათასი ლარი და 00 თეთრი)** ლარს და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
2.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
2.3. ანგარიშსწორება განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი
3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
3.2 დროულად და სრულად წარმოადგინოს მოთხოვნილი დოკუმენტაცია.
3.3 აკრედიტაციის ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის ობიექტზე მიმდინარე ინსპექტირების სამუშაოებზე დასწრების უფლება მისცეს აღნიშნული ორგანოს წარმომადგენლებს.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები
4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყობს საკუთარი ხარჯებით.
4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2019 წლის 10 თებერვლის ჩათვლით.
4.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ქ. თბილისი აღმაშენებლის გამზ. N103 (ა(ა)იპ მუზეუმების გაერთიანება).

მუხლი 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
5.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია **ა(ა)იპ მუზეუმების გაერთიანების ტექნიკური მენეჯერი - თეიმურაზ მაკარიძე.**
5.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

6. ხელშეკრულების ინსპექტირება

6.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.
6.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელ პირს, შემსყიდველის მხრიდან წარმოადგენს **ა(ა)იპ მუზეუმების გაერთიანების ტექნიკური მენეჯერი - თეიმურაზ მაკარიძე.**
6.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ, წერილობით ან/და ზეპირსიტყვიერად ხარვეზის მიზეზების მითითებით აცნობებს მიმწოდებელს.
6.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნაკლოდ, თუკი შესყიდვის ობიექტის არ აღმოჩნდება სრულყოფილი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოასწოროს ეს ნაკლი.
7.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.3. შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს შესყიდვის ობიექტის ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
7.5. ფორსმაჟორული გარემოებების გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
7.6. ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.
7.7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.
7.8. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
7.9. იმ შემთხვევაში, თუ მხარისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან - **2019 წლის 20 მარტის ჩათვლით.**

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის წერილობითი ფორმით შედგენილი შეთანხმების საფუძველზე.
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის **398**-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების **10%**-ზე მეტი ოდენობით.
9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
9.5. ხელშეკრულების 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ **10** (ათი) სამუშაო დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

მუხლი 10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და შესყიდვის ობიექტის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების

შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 11. სხვა პირობები

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს.
11.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელისმოწერისთანავე.
11.3. ნებისმიერი ცვლილება და დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში, შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ მხარეთა მიერ შედგენილი წერილობითი შეთანხმების ფორმით.
11.4. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
11.5. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

მუხლი 12. კონფიდენციალურობა

12.1. მიმწოდებელი ვალდებულია არ გაახმოვანოს და არ დაუშვას ექსპერტიზის განხორციელების პერიოდში მოპოვებული ინფორმაციის გამჟღავნება მესამე მხარისთვის შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონი ითვალისწინებს ინფორმაციის გამჟღავნებას მესამე მხარისთვის, ამ შემთხვევაში მიმწოდებელს კანონის თანახმად ეცნობება მიწოდებული ინფორმაციის შესახებ;
12.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია და არ ითვლება დარღვევად ექსპერტიზის მომსახურების განხორციელებისას მოპოვებული ინფორმაცია გააცნოს აკრედიტაციის ერთიან ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრს ამ უკანასკნელის მოთხოვნის შემთხვევაში.

მუხლი 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

მ ხ ა რ ე ე ბ ი :

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ა(ა)იპ მუზეუმების გაერთიანება	**შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“**
ს.კ. 402036998	ს/კ 400165405
მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. N103	
	საბანკო რეკვიზიტები: სს ტერა ბანკი კოდი: TEBAGE22 ა/ა: GE75KS0000000360500452
გენერალური დირექტორი	**დირექტორი**
ნინო სანადირაძე _____ ბ.ა.	**იოვანე სიხარულიძე** _____ ბ.ა.

The Union Of Museums

Подписано цифровой подписью: The Union Of Museums
Дата: 2019.01.21 15:56:30 +04'00'